ტფილისი

№ 136
ივნისის 29, შაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 136
ივნისის 29, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულის გამო შემდეგი № გამოვა სამშაბათს, 2 ივლისს.

კნ. მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა შვილებითურთ, თავადნი ზაქარია და ნიკოლოოზ გულბაათის ძენი ჭავჭავაძენი მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა —პირველი ქმრისა, მეორენი მამისა, ხოლო მესამენი ძმის

გენ.-მაიორის თავ. არჩილ გულბაათის ძის ჭავჭავაძისა.

რომელიც მოხდა 27 ამა ივნისს, დილის 5 საათზედ. პანაშვიდები გარდახდილ იქმნება ყოველ დღე, ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოს 8 საათზედ განსვენებულის ბინაზედ, კოჯორის ქ. № 7. მიცვალებულს გაასვენებენ ორშაბათს, 1 ივლისს, დილის 9 საათზედ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, ხოლო დაჰკრძალავენ სოფ. წინანდალში 3 ივლისს. (2—1)

მოსკოვი 1893
ს.-პეტერბურგი 1870
ნ.-ნოვგოროდი 1897

სავაჭრო სახლი
დონნერისა და ლეიტცისა
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.
ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.
საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად
ტილოსი, ბამბისა და წინდა-ჩულქის საქონელი.
ავეჯის გადასაკვრელი მატერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები
საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.
საცვლები ქალისა და კაცისა
მზითევი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებითი პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

მოსკოვი 1882 წ.
ნოვგოროდი 1896 წ.

სწყობი ქაღალდისა
დიტიატკოვსკის ამხანაგობის
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად**.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—2)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ნ. პ. მანუელიანცს**, ტფილისს. (24—361—4)

ისყიდება ვერაზედ
სამ-სართულიანი სახლი, რომელსაც ბანკის ვალიცა აქვს.

ვერაზედვე, სათავად-აზნაურო სკოლის შენობის გვერდით, ისყიდება მამული, დაყოფილი ნაჭრებად, თითოეული 100, 200 და 300 ოთხ-კუთხი საჟენი. პირობათა შეტყობა შეიძლება „ივერიის“ რედაქციაში. (10—8).

ვექილი
ა. მ. ახნაზაროვი
გადავიდა

ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერიის“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე. (10—8)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი. (6—22)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

მთავრობის განკარგულებანი

წესდება

მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობისა

II ვადა პენსიების დამსახურებისა.

9) ის სამღვდელონი და მედავითნენი, რომელნიც 20 და 30 წლამდე იმსახურებენ, სამსახურიდან წასვლის დროს მიიღებენ პენსიის ერთ მესამედს, რომელნიც 30-დან და 35 წლამდე—პენსიის ორ მესამედს, ხოლო რომელნიც 30 წელსა და მეტს—სრულ პენსიას.

10) ისინი, ვისაც ოც, ოც-და-ათ და ოც-და-თხუთმეტ წლის შესრულებამდე ექვსი თვე დააკლდება, მიიღებენ იმ პენსიას, რომელიც ამ ვადებისათვის არის დანიშნული.

11) ისინი, ვინც შტატიდან გადიან სამსახურის დროს ჯანის დაკარგვისა და განუკურნებელ ავადმყოფობის გამო, მიიღებენ პენსიად: 10-დან 30 წლამდე სამსახურისათვის პენსიის ერთ მესამედს, 20-დან 30 წლამდე—ორ მესამედს და 30 წლის სამსახურისათვის—სრულ პენსიას.

12) ის სამღვდელონი და მედავითნენი, რომელნიც ისე ძლიერ არიან დასნეულებულნი, რომ არამც თუ სამსახური არ შეუძლიანთ, არამედ სხვასაგან მოვლასაც საჭიროებენ, მიიღებენ პენსიად: 5-დან 10 წლამდე სამსახურისათვის—პენსიის ერთ მესამედს, 10-დან 20 წლამდე—ორ მესამედს და 20 წლის სამსახურისათვის—სრულ პენსიას.

შენიშვნა: მე-10 მუხლში აღნიშნული შეღავათი არ შეეხება იმათ, რომელნიც მე-11 და მე-12 მუხლის ძალით პენსიას თხოულობენ.

13) ნამდვილ სამსახურად და საპენსიო ვადად მედავითნეს ჩაეთვლება დრო 17 წლიდან დაწყებული.

14) ყოველგვარი სამსახური: სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო-სამოსწავლო, თუ იგი ხაზინიდან პენსიის მიღების უფლებას იძლევა, საეპარქიო სამსახურში გადასვლის დროს ჩაეთვლება იმ ვადაში, რომელიც ამ წესდებით საჭიროა პენსიის მისაღებად; ამასთან თუ წინანდელ სამსახურში პენსიის ვადად 30 წელიწადია, ერთის წლის ნამსახურობა ერთ წლადვე ჩაეთვლება, ხოლო თუ ნაკლებია, ამ ნაკლებ ვადის მიხედვით.

15) საეპარქიო სამსახური ითვლება სხვა უწყებაში გადასვლისა და იქ პენსიის მიღების დროს. ამასთან თუ სხვა უწყებაში პენსიის მისაღებ ვადად 30 წელიწადია, საეპარქიო უწყებაში ერთის წლის ნამსახურობა ერთ წლადვე ჩაეთვლება, თუ ნაკლებია—ამ ვადის მიხედვით.

16) იმ ნამდვილ სამსახურის დროიდან, რომელიც პენსიის მიღების უფლებას იძლევა, უნდა გამოირიცხოს: ა) ის დრო, რომელიც სამსახურს და შტატ-გარეთ, ან უადგილოდ გაატარა, ბ) ის დრო, რომელიც დასასვენებელ ვადას (ОТПУСКЪ) გადასცდა. ასეთ ვადად, რომლის დროსაც ჯამაგირი ეძლევათ, არის ზოგან ოთხი და ზოგან ექვსი თვე. ანგარიში ამის მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; და გ) ის დრო, რომელიც სამღვდელომ ან მედავითნემ სამართლის წინაშე პასუხის-გებას მოანდომა, როგორც ეს საზოგადო საპენსიო წესდებაშია აღნიშნული.

(შემდეგი იქნება.)

ტფილისი, ივნისის 29.

დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია ის სასიამოვნო ამბავი, რომ უცხო ქვეყნის ერთს კაპიტალისტს განუზრახავს კახეთის რკინის გზის გაყვანა.

მადლობა ღმერთს!

როგორ არ უნდა სთქვას კაცმა „მადლობა ღმერთს“, როდესაც ამ გზის გაყვანას მთელი კახეთი ელის და ელის აი თითქმის ორმოცი წელიწადია და, იმედ-გადაწყვეტილი დღესაც, ორთქლის მატარებლის მაგივრად, ურემსა ჰხმარობს.

რა უბედურება არ გამოიარა ამ კახეთის რკინის გზამ! ჯერ მაშინ აუქციეს მხარე კახეთს, როცა ბაქოს რკინის გზა გაჰყავნდა მთავრობას, რა არის ყარაიაზედ გავიყვანოთ გზა და ამ საშუალებით ღვთისაგან დადაგული უდაბნო ავამწვანოთო, მაგრამ ეს უცნაური განზრახვა არ აღსრულდა, რადგანაც ყარაია მაინც ვერ ამწვანდა, ვერც ხალხი დაესახლა, თუმცა მეცადინეობა ყოვლის მხრივ დიდი იყო, და ამას-ამასობაში კვლავ ამწვანებული კახეთი-კი თითქმის დაიწვა, რადგანაც გზის უქონლობის გამო ყველამ თავი მიანება—ერმაც, მღვდელმაც და მთავრობამაც.

ჩვენმა თავად-აზნაურობამ დიდი ხანია ჯეროვანი ყურადღება მიაქცია კახეთის ამ საცოდავს მდგომარეობას და ამიტომ ამ უკანასკნელ ოც-და-ათის წლის განმავლობაში არა ერთხელ წარუდგინა უმაღლესს მთავრობას თავისი უქვეშევრდომილესი თხოვნა კახეთის რკინის გზის გაყვანისა.

1891 წელს მთავრობამ შეისმინა თხოვნა თავად-აზნაურობისა და დაადგინა სახელმწიფო ხარჯით გაეყვანა კახეთის გზა. მაგრამ აქაც გაცუდდა იმედი! სწორედ იმ დროს დიდს გაჭირვებაში ჩავარდა ჩვენი სახელმწიფო სალარო და, როდესაც ფინანსთა სამინისტრო ს. ი. ვიტტეს ხელში გადავიდა, აღმოჩნდა, რომ ხაზინას არც ერთი გროში თავისუფალი არ ეგულება, რომ კახეთის გზა გაიყვანოს.

რაკი თავად-აზნაურობამ მთავრობისაგან ამგვარი პასუხი მიიღო, მეტი ილაჯი არ იყო, თავის გახრეკილს ჯიბეს მიუბრუნდა. რაც უნდა იყოს, გახრეკილ ჯიბიდამ ათას-ხუთასი თუმანი გამოიღო და ექვსის თვის განმავლობაში ამ ფულით კახეთის გზის ტეხნიკური გამოკვლევა მოახდინა და ეს გამოკვლევა საჩქაროდ სამინისტროში წარადგინა და მისი დამტკიცება ითხოვა.

გამოკვლევა-კი დამტკიცდა, მაგრამ საჭირო თანხა —ექვსი მილიონი—თავად-აზნაურობამ ვერსად ვერ იშოვნა და საქმე ისევ შეჩერდა.

ამ დროს ინჟენერმა სიმბერგმა განიძრახა კახეთის რკინის გზის მეორე პროექტი, ესე იგი, ნაცვლად იმისა, რომ გზა ბაკურციხეზე გადასულიყო, როგორც თავად-აზნაურობასა სურდა, თიანეთზე მოაწყო. სიმბერგის და თავად ნ. დ. ჭავჭავაძის მეცადინეობით კონცესია მათ სახელობაზედ დამტკიცდა კიდეც. მაგრამ, საუბედუროდ, გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ თიანეთზედ გზის გაყვანა დაჯდება არა ნაკლებ ოც-და-სამის მილიონისა.

რასაკვირველია, საცა თავად-აზნაუ-

რობამ ექვსი მილიონი ვერ იშოვნა, იქ ბ-ნი სიმბერგი და კამპანია ოც-და-სამს მილიონს ვერ იშოვნიდა და ამისათვის მათმა კონცესიამაც ფუჭად ჩაიარა.

მკითხველი დაგვეთანხმება, რა საცოდავად არის გაზვიადებული ეს ადვილი და მასთან საჭირო საქმე.

რად არის გაზვიადებული? ჩვენის საკუთარის უმეცრებით. განა სადმე გაგონილა, რომ კაცს ხელში დამტკიცებული ტეხნიკური გამოკვლევი ჰქონდეს, კონცესიაც მინიჭებული ჰქონდეს, და ფული-კი ვერსად ვერ იშოვნოს, რომ მთავრობისაგან მინიჭებული უფლება აღსრულებაში მოიყვანოს? მოდი და ნუ იტყვი, რომ სომხები გვჯობიან. ეს საქმე რომ ბ-ნ მანთაშევს ჩავარდნოდა ხელში, ეხლა-კი არა, როცა მდიდარია, მაშინ, როცა არაფრის მქონებელი იყო, მერწმუნეთ, ისე ადვილად იშოვნიდა ფულს, როგორც ნავთის საქმისათვის სამოცი მილიონი მოუგროვებია რუსეთში.

განა, სირცხვილი არ არის ჩვენთვის, რომ ამისთანა მშვენიერი, სარგებლიანი და თავად-აზნაურობისაგან დიდის შრომით მომზადებული საქმე უცხო ქვეყნის კაცს ჩაუვარდეს ხელში? განა, ჩვენს ქართველობაში არ მოიპოვებოდა კახეთის გზისათვის საჭირო თანხა? ამ საქმეს ძალიან ადვილად აუვიდოდა ორი-სამი ჩვენი მდიდარი გვარეულობა, რომელთაც ფას-დაუკლებელი ნამდვილი მამა-პაპეული სიმდიდრე აქვთ.

მაგრამ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ჩვენ მხოლოდ ქეიფს მივდევთ და არა ხალხის და მის საჭიროების მოთხოვნილებას!

† თ. არჩილ გულბაათის ძე ჭავჭავაძე.

27 ივნისს ტფილისში გარდაიცვალა გენერალ-მაიორი თავადი არჩილ გულბაათის ძე ჭავჭავაძე. განსვენებულმა დაიწყო სამსახური 13-ს ივნისს 1862 წ. პრაპორშჩიკის ჩინით; აგვისტოს 1863 წელს იგი გარდაყვანილ იქმნა მე-15 ახლანდელს 43 დრაგუნთა ტვერის პოლკში; ომის დროს ამ ხნიდგან 24 მაისს 1864 წლამდე მან მიიღო პორუჩიკობა. 1866 წლიდგან 1868-მდე მან მიიღო შტაბს-კაპიტნობა. 1871 წელს მიიღო კაპიტნობა ერთგულ სამსახურისათვის; 1877 წელს დაინიშნა მე-3 დაღესტნის ცხენოსანთა პოლკის უფროსად. 8 ნოემბერს 1877 წ. უმაღლესის ბრძანებით მიიღო პოდპოლკოვნიკობა; შემდეგ წელს მიიღო უმაღლესად ნაბოძები ოქროს ხმალი ზედ-წარწერით „სიმამაცისათვის“. 1877 წელს მიიღო ვლადიმირის ორდენი და სტანისლავა 2-რე ხარისხისა მახვილებით. 1883 წ. უმაღლ. ბრძანებით ებოძა პოლკოვნიკობა, შემდეგ ორის წლისა მიიღო მე-3 ხარისხის ვლადიმირის ორდენი. მრავალ წარჩინებათა შემდეგ 1889 წელს იგი დაინიშნა გამოჩენილ 45 სევერსკის დრაგუნთა პოლკის კამანდირად. 24-ს დეკემბერს 1896 წელს თ. ჭავჭავაძე დაინიშნა მე-2-რე ბრიგადის მე-9 კავალერიის დივიზიის უფროსად დ უმაღლესად ებოძა გენერალ-მაიორობა; 1901 წელს მან მიიღო პირველის ხარისხის სტანისლავს ორდენი. გარდა რუსულ ორდენებისა, განსვენებულს მიეღია: სპარსეთის, დანიის და ბუხარის ორდენები; ამა წლის 23 მარტს თ. ჭავჭავაძემ მიაღწია უმაღლესს წარჩინებას და დანიშნულ იქმნა უმაღლესად კავკასიის კავალერიის დივიზიის უფროსად.

ტფილისი

✦ 28 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდა საჯარო გაჭრობა სოფლის იმ მამულებისა, რომელზედაც მოკლე-ვადიან სესხის ვალი იყო. ვაჭრობაში ჩავარდა ცამეტი მამული სხვა-და-სხვა სოფლისა. გაიყიდა მხოლოდ ათი: კორინთელისა ს. დ., ვალი იყო 1395—79, გაიყ. 1397—50; ბეხტერიევისა მ. ზ., ვალი 1663—60, გაიყ. 2700 მან.; ზანდუკელისა ს. ოტ. ვალი 548—91, გაიყ. 727 მან.; ჯანდიერისა გ. და ნ. ვალი 645—01, გაიყ. 681, ბებურო-ვაჩნაძესი ე. ი. ვალი 420—60, გაიყ. 464—38 კ.; ბებურო-ვაჩნაძესი რევ. ქაიხ. ვალი 831—20 კ., გაიყ. 3000 მან.; ბებურო-ვაჩნაძესი ნ. თ. ვალი 631—20, გაიყ. 900 მან. ქარუმიძესი ი. დ. ვალი 120—88 კ., გაიყ. 600 მან.; გუნცაძესი ი. და შ. ვალი 461—02 გაიყ. 470 მან.; ჩერქეზიშვილისა კ. დ. ვალი 420—60, გაიყ. 900 მან. დარჩა გასაყიდად მამულები რ. გ. ამილახვრისა, ა. ცქიტიშვილისა და ლ. ვ. ჯორჯაძისა. მათი გასყიდვა დანიშნულია 13 ივლისისათვის.

✦ პარიჟიდან გვაცნობებენ ფრიად სასიამოვნო ამბავს, რომ ერთს იქაურს კაპიტალისტს განუხილავს კახეთის რკინის გზის ორი პროექტი—ტფილისის თავად-აზნაურობისა და ინჟ. სიმბერგისა და რადგანაც პირველი მოსწონებია, ამისათვის კონცესიის თხოვნას უკვე შესდგომია.

✦ ამას წინად აქაურს გაზეთებში და ჩვენს გაზეთშიაც მოხსენებული იყო, რომ მარტყოფის ღვთაების მონასტრის გამცარცველ და დაჭერილ ყაჩაღთა შორის დაჭერილია აგრეთვე მასწავლებლად ნამყოფი ილიკო მგელაძე. როგორც შევიტყვეთ, ილიკო მგელაძე ყოფილა სოფ. შემოქმედის სკოლის მასწავლებლად, ვიღაცას მტრობით დაუბეზღებია და მართალია, დაუჭერიათ, მაგრამ გამომძიებელს, უცვნია-რა უდანაშაულოდ, მაშინვე გაუთავისუფლებია.

✦ 5 ივნისს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან გუბერნატორებს მოუვიდათ შემდეგი ცირკულიარი: რადგანაც ამ ბოლოს დროს ბევრჯელ გამოიწვია სჯა იმ საგანმა, უნდა გარდახდეთ საგერბო გარდასახადი სამხედრო სამსახურში მყოფთა თხოვნებს თუ არა, როცა ეს მოხელენი რაიმე მოწმობის დუბლიკატს ითხოვენო, ფინანსთა მინისტრის თანხმობით სამხედრო ბევრის მმართველობა ატყობინებს ახლა ამ გვარ მოხელეთ, რომ ყველა მათი თხოვნა და საზოგადოდ ის ქაღალდები, რაც სამხედრო ბეგარას შეეხება, გათავისუფლებულ იქმნა საგერბო გარდასახადისაგანო. ამ ცირკულიარის კოპიო მოუვიდა აგრეთვე ტფილისის პოლიციის უფროსს კოვალიოვსა.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „ქართული სტამბის ისტორიიდგან. ექვთიმე ივანეს-ძე ხელაძის სტამბის 30 წლის არსებობის დღესასწაულის გამო“, ისტორიული მიმოხილვა ზ. ჭიჭინაძისა, გამომცემელი ჟურნალ „მოგზაურიდგან“. წიგნს დართული აქვს თვით ექ. ხელაძის სურათიცა. წიგნში სულ 16 გვერდია.

✦ ტოპოგრაფი მესხიძე, სემიპალატინსკის ოლქის დროებით მომუშავე დასში მყოფი, დაინიშნა ამავე დასის უფროსად.

✦ ტიტულიარნი სოვეტნიკი ტოპოგრაფი ბენაშვილი, მომუშავე ტურგაის დროებითს დასში, დარჩა შტატს გარეშე.

✦ რადგან ტფილისის პოლიცმეისტერი გ. ს. კოვალიოვი ერთის თვით დაითხოვა მთავრობამ, მის თანამდებობას აასრულებს 27 ივნისიდგან მისი თანაშემწე თავ. სიდამონ-ერისთავი.

✦ 25-ს ივნისს, შუადღის სამ საათზედ, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელმა ივ. ივ. კლიაროვსკიმ გამოაცხადა ტფილისის მეორე უბნის პოლიციის სასამართლოში, რომ შევედი სასადილოდ „ტილი-პუპურის“ რესტორანში და ნასადილევს ცოტათი ჩამთვლიმაო. როდესაც გავიღვიძე, ვნახე, რომ 65 მანეთი ფული ამოეცალათ ჯიბიდგანაო (გაზ. „ნოვ. ობ.“).

✦ წელს ტფილისის საქალაქო სასწავლებლებში კურსი დაუსრულებია 152 ვაჟს და 92 ქალს, სულ 244.

✦ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლის შეგირდებს აეკრძალათ სეირნობა მუშტაიდში საღამოს 8 საათის შემდეგ.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის გამგეობის წევრად სამს კანდიდატში სამსახურიდან გადამდგარი სტატს. სოვ. ნ. პ. კოკჩაევი.

✦ მთავრობამ ვერ სცნო მოსახერხებლად ნება დაერთოს „შოსის გზებზედ“ ამიერ-კავკასიაში იარონ ავტომობილებმა, თუმცა ბევრნი თხოულობენ ამის ნება-რთვას.

✦ ქალაქის თვით-მმართველობას დაუწყვია ფიქრი, რომ შეამციროს ნიხრი პურსა და ხორცზედ. ძლივს!

✦ „Нов. Об.“-ეს რედაქციას მიუღია მესამე წიგნი ემინის საეტნოგრ. კრებულისა, რომელსაც ჰბეჭდავს ლაზარევის ინსტიტუტი აღმოსავლეთის ენებისა. ამ წიგნშია მოთავსებული, სხვათა შორის, გამოკვლევა ლინგვისტის აჰარიანისა: „Заимствованныя въ армянскомъ языкѣ турецкія слова“.

✦ ქალაქის გამგეობამ ამას წინად დაადგინა, რომ ხუთშაბათობით და კვირაობით ალექსანდრეს ბაღში დაუკრას სამხედრო მუსიკამ ხალხის სასიამოვნოდ და გასართობად. გამგეობას ისიც დაუტანებია, რომ უსათუოდ ევროპიულად ჩაცმულთ, ან სუფთად ჩერქეზულ ჩოხაში ხმალ-ხანჯალ გამოწყობილებმა ისარგებლონ ამ სიამოვნებითაო. თუ ვინიცობაა მუსიკის დაკვრის დროს რომელიმე ხელოსანი მივა მოკლე ახალუხით, მთელი დღე მუშაობით დაღლილი წმინდა ჰაერის ჩასაყლაპად, კისერში ცემით უკან აბრუნებენ. ეს კიდევ არაფერი, გაჭირვებული საქმე რამ რომ ჰქონდეს იმ გვარ ხალხს, მაინც არ უშვებენ. ამისთანა მაგალითი მოხდა ხუთშაბათს, 27 ივნისს, საღამოს რვა საათზედ. ერთ საწყალ კაცს თურმე ვიღაც ღირსება-ახდილ კაცთან ჰქონია სასამართლოში საქმე. სასამართლოს ვერ მიუგნია იმ კაცისათვის, რომ უწყება ჩაებარებინათ. მოჩივარს უთხოვნია სასამართლოსთვის, მომეცით წერილობითი ბრძანება პოლიციის მოხელეებთან, რომ თუ სადმე მოვკარ თვალი, დავატუსაღებინოვო. იმანაც სწორედ ხუთშაბათს რვა საათზედ მოჰკრა თვალი ბაღის კარებში იმ ვაჟბატონს, რომელიც სათვალეებით და ცილინდრით, ევროპიულ ტანისამოსით გამოწყობილი შევიდა ბაღში სასეირნოდ. საწყალი კაცი სიხარულით გაექანა იმისკენ, მაგრამ კარებში მდგომმა პოლიციის მოხელეებმა არ შეუშვეს, რადგან ცოტა ღარიბად ეცვა. კაცი ემუდარება, უჩვენებს ბრძანებას, მაგრამ მაინც არ შეუშვეს და ამ პასუხით გამოისტუმრეს: „ჯანდაბამდინაც გზა გქონია, ვიღაცა ხარო, ჩვენ კითხვა არ ვიცითო“,..... ამ ჩაჩქოლს ყური მოჰკრა დამნაშავემ და, რასაკვირველია, თავს უშველა. ვერც ხვეწნამ, ვერც მუდარამ ვერ გასჭრა. ბოლოს წაესარჩლა ვიღაც სასამართლოს მოხელე, წაუკითხა ქაღალდზედ ბრძანება დარაჯებს, მაგრამ გვიანღა იყო.

✦ პოლიციის მოხელემ და სახლის დარაჯმა ვახ. ვასილიძემ ავჭალის ქუჩაზედ შეიპყრეს გორის მაზ. მცხოვრებელი დიმიტრი ვალიშვილი, რომელსაც კავკასიის რკინის საწყობიდამ მოეპარა ათი ნაჭერი რკინა და სპილენძის მილი. დამნაშავე ქურდობაში გამოტყდა.

✦ ოლგას ქუჩაზედ კავკასიის სამხედრო სასამართლოს ახლო, პოლიციის მოხელემ იპოვნა მიგდებული ბავშვი, დაბადებიდამ 2 კვირისა; ბავშვი თეთრს ჩარსაფში იყო გახვეული და არავითარი ბარათი არ აღმოაჩნდა. ბავშვი ოლგას სახელობის ინსტიტუტში გაგზავნეს.

კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა.

ხუთშაბათს, 27-ს ივნისს, შესდგა კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა სტაროსტის ი. ს. ბუღდანოვის თავმჯდომარეობით. კრება დაიწყო ღამის ათის ნახევარზედ. კომისიის წევრმა ს. ტარუაშვილმა მიჰმართა კრებას, რომ ასაცილებლად რაიმე უკმაყოფილებისა განაჩენის შედგენის გამო, რაიცა ხშირად ხდება, სასურველია ყოველ კრებაზედ ამოურჩეულ იქმნას ხოლმე მდივანიო. კრებამ ერთის მაგიერ ერთხმად ამოირჩია ორი მდივანი: ბ-ნი ა. ადამიძე და არუთინოვი. დანდუროვმა ითხოვა პატივი ეცათ ფეხზედ წამოდგომით ერთის გარდაცვალებულ რწმუნებულის ხსენებისათვის. კრებამ შეასრულა ეს თხოვნა.

ს. ტარუაშვილი: შეუძლიან თუ არა ერთ და იმავე დროს ყოფნა კაცს რწმუნებულადაცა და მოხელედაც მოქალაქეთა მმართველობაში. ჩემის აზრით ყოვლად შეუძლებელია.

ამ საგნის გამორკვევა გადაიდო შემდეგ კრებისათვის.

შემდეგ სჯა იყო კიდევ სხვა-და-სხვა წვრილმან საგნის შესახებ.

კრებას მოჰხსენდა რამდენისამე მოწაფის თხოვნა, რომ იგინი განთავისუფლებულ იქმნან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. კრებამ შეიწყნარა დ განთავისუფლა ისინიც დ აგრეთვე რამდენიმე სახელმწიფო სამსახურში შესვლის მსურველნიცა.

რამდენმამე ქალმა და კაცმა ითხოვა შემოსვლა მოქალაქეთა საზოგადოებაში. მიღებულ იქმნენ კაცნი ოჯახობით, ხოლო ქალთა თხოვნები-კი გადადებულ იქმნა, რადგან არ სჩანდა მათი ვინაობა და მემკვიდრეობა, საიდგან და ვინ იყვნენ. დაევალა სტაროსტას შეიტყოს სახაზინო პალატაში მათი ვინაობა.

კრებამ ითხოვა, რომ სხვა საგნები გადადებულიყო და სტაროსტას ჯამაგირის შესახებ ყუთი დადგმულიყო ბ-ნ გუბერნატორის მოწერილობისამებრ, მაგრამ სტაროსტამ იუარა და დიდი ხნის კამათის შემდეგ კიდევ დაჟინებით ითხოვეს: დანდუროვმა, ადამიძემ, არუთინოვმა და ტარუაშვილმა, რომ წაკითხულ ყოფილიყო გუბერნატორის მიწერილობა სტაროსტას შესახებ. რომ ველარა გააწყო-რა სტაროსტამ, მიჰმართა თავის მდივანს ბ-ნ ჯილაევს: „რა ვქნა... თუ არის რამე ქაღალდი, ერთი წაუკითხე“.

აი, რა აღმოჩნდა მართლაც: თურმე გუბერნატორსაც შეუტყვია, რომ ბ-ნი ჩვენი სტაროსტა ი. ს. ბუღდანოვი სამსახურში არ დადის, ორი წლის თხოვნები დევს და სისრულეში არ მოჰყავს. ორი თვეა თხოვნები შემოუტანიათ აქაურ დამთავრებულ მოწაფეთა განთავისუფლებისათვის და კრებას არა ნიშნავს, მათ განსახილველად ფულები არ იკრიბება და ჯამაგირს-კი აძლევს ხარჯის ამკრებებს, მოსამსახურეთა რიცხვი შემცირებულ უნდა იქმნეს და არ ამცირებს, ჯამაგირებს ძველს აძლევს და ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად არა ჰმოქმედებს. თუ შესრულება არ შეგეძლოთო, სწერს გუბერნატორი სასტიკად ბუღდანოვს, უარის თქმა ხომ მაინც შეგეძლოთ, ჩემთვის მოგემართა განთავისუფლებისათვისაო. ერთი სიტყვით, ის ეწერა იმ ქაღალდში, რასაც კომისია წარსულ კრებაზედ ესაყვედურებოდა და რის გამოც წარსულმა კრებამ 1,500 მან. ჯამაგირის მაგიერ დაუნიშნა 300 მანეთი მხოლოდ ფაეტონის ფულად. კრების განგრძობა გადაიდო მომავალ სამშაბათისათვის.

ს. დიდუბელი.

ჩვენებური ამბები

ჩვენ გვაცნობებენ, რომ აღმოჩენილა რამდენიმე შეძლებული კაცი, რომელთაც კობის მჟავე წყლების ქიმიური ანალიზი მოუხდენიათ; ანალიზით დამტკიცებულია, რომ კობის წყალი, რომელიც კობის საფოსტო სადგურის მახლობლად იმყოფება, არამც თუ „ნარზანის“ წყალს ჩამოუვარდება, არამედ ყოვლის ფრით „ნარზანზედ“ უფრო მარგებელია და ამისათვის, იმედია, რომ კობის წყალს უფრო დიდი გასავალი ექნება, ვიდრე „ნარზანს“.

სოფ. კასპიდგან გვატყობინებენ: 20 ივნისს გაიმართება წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით: აპირებენ ცაგარლის კომ. „ხანუმას“ წარმოდგენას; ტფილისიდგან მოწვეულნი არიან ქქ. გაბუნია-ცაგარლისა და კარგარეთლისა.

ქუთაისი. წელს აქაურს დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში 40 მოწაფეს დაუმთავრებია მე-9 კლასი. ამათში 25 ქართველია, 14 რუსი და 1 სომეხი.

გორის სამების ეკკლესიის გამქურდავთაგან, რომელთაც გაიტანეს ძვირფასი ნივთები და ფული სულ 2,000 მანეთისა, სამი უკვე შეუპყრიათ; სამივენი გორის მცხოვრებნი არიანო (ნოვ. ობოზ.).

ხვალ, 30 ივნისს, მოხდება წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლის ეკკლესიის კურთხევა.

თელავი. თელავს 1901 წელს შემოსავალი ჰქონდა სულ 11,472 მ. 82 კ. აქედგან

ფელეტონი

სიმონა ბლუჯიაშვილის თავ-გადასავალი

(სურათები წარსულის ცხოვრებისა)

VIII*)

სულ უკანასკნელ წუთში, როდესაც ის იყო აგერ-აგერ მისხლტებოდა ფრჩხილები წამოხურულ კლდის ქვეშ მყოფს, რომელიც საზარლად დამყურებდა თავსა, თითქო გადმონგრევას აპირებს მტკვარშიაო, უცებ მომესმა ზემოდამ მეტივეების ხმა, რომელთაც შესმენოდათ ჩემი ყვირილი და წამოსულიყვნენ ჩემს მოსაშველებლად.

რაკი მოვკარ ყური და გავარჩიე ადამიანის ხმა წყლის ხუილში, უფრო მოვუმატე ხრინწიანის ხმით განწირულ ყვირილსა, რადგან ბევრის ყვირილით ხმა წასული მქონდა, და ვახერხებდი მხოლოდ იმ ხმას, რომლის გამოცემაც-კი შეეძლო მაშინ ჩემ ყანყრატოს.

მეტივეებმა საჩქაროდ ჩამოუშვეს ზემოდამ გრძელი ბამბის თოკი და ამიტანეს მაღლა კლდეზე ცოცხალ-მკვდარი.

— ბიჭო, როგორ გადახველ ტივიდან იმ მიუდგომელ ალაგას?—მეკითხებოდნენ გაკვირვებული გლეხები, როცა მნახეს რომ სული მოვიბრუნე და მოველ გონებაზედა.

— ტივი რაღასაც მოედო, ძიავ, და მე მაშინვე გადავხტი, რაკი მეშინოდა არ დაიშალოს-მეთქი, მერე ვნახე, რომ გზა არ საით იყო, მაგრამ, მანამ მოვიხედე უკან, ტივი ისევ წაიღო წყალსა.

— ჩვენ-კი გვეგონა, რომ წყალში გადავარდა და დაიღრჩოვო, საწყალი ბიჭი, კარგი რამას ყვირილი გავიგონეთ, თორე ხომ წყალი ჩაგათრევდა და წაგიღებდა, ცოტა ხანსაც რომ დარჩენილიყავი იქა!

ამ ლაპარაკით, ჩავედით კლდიდამ ძირს, და მივედით ქვემოდ, მტკვრის ნაპირას, სადაც იმათ ტივი გაეტანათ და დაებათ.

აქ დაუწყეს დაშლილ ტივს გამართვა და მოჰყვნენ კვლავ ერთმანეთში ლაპარაკს, ისე გულ-გრილად, თითქო რაც ხიფათი გადაჰხდათ, ხიფათად არ მიაჩნდათო.

— აი, ძმაო, შენა ტრაბახობდი, მზიურ ჩავალთო და, მგონია, ამაღამ აქ მოგვიხდება გათენება,—სთქვა ერთმა ცოტა დაღონებით.

— ეგ რა! რო მიანებე თავი და თხელზე მიაყენე, გაჩერდებოდა, მარა ეშმაკი დაემართებოდა?!—სთქვა პასუხად მეორემ.

— რა ჩანდა მერე; თხელი იყო თუ ღრმა? ტივი პატიოსნად მიდიოდა და უცებ გაჩერდა, რა ჩემი ბრალია ეგა?

— ჰოო-და! სუ მუდამ აგრე იცი შენა, ვერ ატყობდი, რო მძიმედ მიდიოდა და ქვებს ეხახუნებოდა?

— რა ვიცი, განა, ღრმაში-კი არ ეხახუნება ხოლმე დიდ ლოდებსა.

— კაცო, ე ბიჭი, ბიჭი შემეცოდა ძრიენა, რანაირ საცოდავათ დაიწყო ყვირება, მარტო რო დარჩა, ასე ეგონა, აღარ მივხედავდით,—შესცვალა ლაპარაკი ისევ პირველმა და შემოხედა მე, რომელიც ჯერ ისევ შიშ-ნაჭამი შევყურებდი იმათ მუშაობასა.

— როგორ დაიჭირეთ, ძია, ტივი, რომელზედაც მე დავრჩი და მერე წყალმა რო წამოიღო? - ვკითხე მე.

— როგორა, შვილო, და დავაბით თუ არა ჩვენი ტივი, უნდა წამოვსულიყავით შენ მოსაშველებლათ. ამ დროს, ვნახოთ, წყალს თვითონ მოჰქონდა და ჩვენ გზაში დავხვდით, მაგრამ შენ რომ ზედ აღარ იყავი, შეგვეშინდა და წამოვედით საჩქაროდ შენ საძებრათ. კარგა რამას ყვირილი გავიგონეთ, თორე, რა ეშმაკი მოგაგნებდა იქა, საცა შენ შემძვრალიყავი, კლდეშია; კინაღამ ისევ დავბრუნდით, რო არსადა ჩანდი, გვეგონა დაიღრჩოვო.

ამ ლაპარაკში კიდეც „გამართეს ტივი, თუ რამ დაშლილი ჰქონდა, და გაამზადეს სადილოთ, რადგან კარგა დაღამებული იყო და ბნელაში შეუძლებელია ტივით სიარული.

IX

მეორე დილას, ინათლა თუ არა, ჩვენმა მეტივეებმა აუშვეს ტივი და გავსწიეთ კვლავ, მე თუმცა ველარა ვბედავდი წინა დღის ამბის გამო, ტივზე დაჯდომასა, მაგრამ რაკი სხვა გზა არა მქონდა, დავჯექი ისევა, თუმცა-კი თვალ-წინ მედგა შიში და მეგონა, აცა ახლა გაწყდება წნელი კიდევა და დაიშლება ტივი-მეთქი, აცა ახლა; ამიტომ აღარა ვშორდებოდი ახლოდან მეტივეებსა. თუ ვინიცობაა კიდევ გაწყდებოდა, მეც იმათთანა ვყოფილიყავი.

კარგა მანძილის გავლის შემდეგ, მივატანეთ მცხეთის ვიწროებსა და ჩვენმა მეტივეებმა კვლავ დაიწყეს ერთმანეთში გულ-დამშვიდებით ბაასი, რადგან იმ ალაგას შეერთებული მტკვარი მდორეთა და ამაყის ბუტბუტით მიმდინარეობდა თავის ჩავარდნილს ალაგას, თითქო, დიდის ხნის მოწმესა და ბევრის ამბების მნახველს, მარტო აქ უპოვნია მყუდროება და მიდის გაბუტული ძალით დასაკუთრებულ გზაზედაო, ვინაიდგან არა სცხრება სიმძლავრე მისი არც მაშინ, როდესაც გაუთელავს ფეხქვეშ ყოველივე დაბრკოლება.

ამ დუმილში გამიტაცა რაღაც საზარელმა ფიქრებმა და, ბავშვურის გონებით, გაშტერებულმა დავუწყე ყურება გარშემო აწვდენილ მაღალ მთებს, საიდამაც საზარლად დაგვცქეროდნენ თავს მოსამხლევლათ მომზადებული დიდრონი ლოდები, რომელნიც ოდნავ-ღა ეკიდნენ თითქო მაღლა სუსტ ჯაგებზე და ისე სჩანდნენ, თითქო ეს არის დაიძვრებიან და დაეცემიან მგზავრს თავსაო. გულში მიკვირდა და ვამობდი, საიდან იქმნენ იმ სიმაღლეზე ატანილი იმ გვარნი ლოდნი და როგორ იდგნენ გაჩერებული იქა, ან როგორ ენდობოდნენ მგზავრები იმათ ქვეშ გავლასა, მაგრამ ჩვენი მეტივენი, შეჩვეულნი იმათ საშიშროებას, შეჰყურებდნენ დამშვიდებულნი და განაგრძობდნენ ისევ თავიანთ მუსაიფსა.

— ჰაი, გიდი ჰა! ამ მცხეთასაც ბევრი რამ გადაჰხედია თავსა!—სთქვა ერთმა გრძნობით, როდესაც მიატანეს მცხეთას და შეჰხედა სვეტი-ცხოველის გუმბათსა.

— გადაჰხედიაო რა! აქა მჯდარა მეფე. ეგა ყოფილა ბუდე ვაჟკაცებისა!—სთქვა პასუხათ მეორემ, ვითომ-და მეც ვიცი მაგის ამბებიო.

— აბა, გახედე აიმ მთის წვერსა, მაღლა სერი რომ მოსჩანს, ჰხედამ?—სთქვა კიდევ პირველმა და გაიშვირა თითი სერისკენ.

— ვხედამ,—უპასუხა კვალად მეორემ და თან თვალებში შეჰხედა, თითქო ეკითხება, მერე, რა ყოფილა იქაო?

— მაგ სერიდგან ჩამოსულა თურმე ერთხელ დიდი მოურავი ღამე, და ამისთანა ონავარ წყალში გასულა ამ ალაგას ბნელაში ჩუმად ცოლ-შვილითა.

— რას ამბობ, კაცო, ღამეო?

— მე და ჩემმა ღმერთმა!

— ჰე-ჰეიი... აბა გამბედავი ვაჟკაცი ის-კი არა ყოფილა! თორე, მე და ჩემმა ღმერთმა, ჯერ დღე სულიერი ვერ გაბედამს იქ გასვლასა, არამც თუ ღამე გაბედოს ვინმე, მერე ისიც სახლობითა.

— მარტო სახლობითაც არა, იმოდენა მოსამსახურეებიც ცოლ-შვილით თანა ჰყოლია. ვინ იცის, რამდენი ბავშვები ეყოლებოდათ!

— შენ თქვი, ქალები როგორ-ღა გავიდნენ ამ წყალშია-და?

— იმასთანა, ძმაო, ყველა ამისეებ გულადი გამხდარა. ი რო არა ყოფილიყო, ეხლა ქართველი კაცის ნატამალიც აღარსად იქნებოდა, სუ თათრით იქნებოდა აქაურობა სავსე, ქრისტიანების მაგივრათ.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ძმაო, ურჯულო-

---

*) იხ. „ივერია“ № 135.

ხარჯავს ქალაქის თვით-მმართველობის მოხელეთა ჯამაგირად 3,646 მ. 79 კ. ერთი მესამედი მთელის შემოსავლისა და მხოლოდ დანარჩენი ორი მესამედი მოუხმარებია სხვა საქალაქო საქმეთათვის. სწავლა-განათლებისათვის დაუხარჯავს მხოლოდ, სირცხვილიც-კია თქმა—16 მანეთი! აფერუმ, თელავო!

—

ქუთაისი. მთავრობამ გამორიცხა ახალ ხმოსანთა სიიდგან: ი. ბუჯუჩავა, ახვლედიანი, ი. ნ. ნიჟარაძე, ვ. კოკოჩევი, ბარკაია, ი. პეტრიაშვილი, აბზიანიძე, ი. პ. ჯაიანი, ირალოვი და ს. დ. ჯაფარიძე, რადგან ამ ხმოსანთ ისე მცირე უმეტესობა მიუღიათ კენჭებისა, რომ გამოირიცხოს 10 ხმა, რომლითაც 10 კაცს უკანონოდ უსარგებლია, ეთრები აღარ დარჩებათ. აი, მათი სახელი და გვარები: კაცია ადანაია, ტრიფონ გურგენიძე, ეგნატე ნასრია, ნესტორ გერსამია, პეტრე კოკოჩევი, სტეფანე ოლუა, სესია სანიკიძე, მიხეილ წულეისკირი, გ. ბალატურია და სვიმონ პეიშვილი. ოგი მათ შორის სამართალ ქვეშ ყოფილა და ამიტომ უფლება არა ჰქონია არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

—

ბათუმი. ბათუმის თვით-მმართველობას ედი აქვს, რომ სამკურნალოს შესანახად მიიღებს ხაზინიდგან 35 ათას მანეთს შემწეობას, რადგან მთავრობამ უარი უთხრა, რომ სანავთსადგურო ფუთობრივ შემოსავლიდგან ერას მოგცემთო.

—

ბათუმი. (ბათუმის ფარმაცევტების ყოფა-ვითარება). მოსამსახურე ფარმაცევტები ბათუმში ცუდ ვითარებაში არიან. სამწუხარო ის გახლავთ, რომ აქ არავინ ზრუნავს მოსამსახურე ფარმაცევტების მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ. აქ აფთიაქები ელიწადში რამოდენიმე ათასს გადასდებენ შემოსავალს; ოღონდ მათ შემოუვიდეთ ფული, თორემ ფარმაცევტების შესახებ არას ნაღვლობენ. ნუ-თუ თვითონ აფთიაქრებს არ შეუძლიათ თავის ნებით (უთქმელათ, სიამოვნებით და სიყვარულით) თავიანთ მოსამსახურე ფარმაცევტებს გაუუმჯობესონ მდგომარეობა და შეღავათიანად ამუშაონ, ითონაც ხომ გამოცდილნი არიან, რა მძიმე საქმეა აფთიაქში მუშაობა?

„*Черноморскій Вѣстникъ*“-შიაც იყო აღნიშნული, რომ პეტკევიჩის აფთიაქში ცუდი პირობების გამო თითქმის ერთის ან ორისთვისგანმავლობაში იცვლება ორი-სამი თანაშემწე: აფთიაქის პატრონებმა რატომ არ უნდა იცოდნენ, რომ ფარმაცევტებისაგან არის დამოკიდებული იმათი ბედ-იღბალი. არა ერთი მაგალითი იყო, რომ მეტის-მეტ შრომით მოღალული ფარმაცევტები სცდებიან წამლების კეთებაში. ან-და რა უნდა მოვსთხოვოთ იმ კაცს, რომელიც 48 საათს ხანდისხან თითქმის განუწყვეტლივ მუშაობს! ჩემის აზრით, საზოგადოება ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მოსამსახურე ფარმაცევტების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ბათუმის მოსამსახურე ფარმაცევტების ცუდ პირობებს არც ქუთაისის მოსამსახურე ფარმაცევტების პირობები ჩამოუვარდება. ტფილისშიაც, რასაკვირველია, ამისთანავე ცუდს მდგომარეობაში არიან, მაგრამ ამ ბოლო ხანში კი ნიშნები გამოჩნდა ზოგიერთ პირობების გაუმჯობესების შესახებ. სასიამოვნო და სასურველი იქმნება, რომ კიდევ წინ წაეწიოთ ნაბიჯი.

—

ნამეტან ძნელ საქმედ გადაიქცა ფარმაცევტების სწავლა-განათლების საქმე. ეს საკითხი ისე მძიმე და რთული არ არის, როგორც გვგონია. მოხსენებულია მესამე ფარმაცევტების კრებაზე პროექტი: „ფარმაცევტების სწავლა-განათლების წარმატება და ზოგიერთ პირობების გაუმჯობესება“.

—

პირველ-დასაწყისი სკოლა ფარმაცევტებისათვის აფთიაქია, სადაც მათ პრაქტიკულად უნდა შეისწავლონ ხელობა და ზნეობრივადაც უნდა განვითარდნენ.

—

აფთიაქში სპეციალურ ხელობის გარდა ახალგაზრდობა ვერაფერს იძენს და ამავე ცოდნით უნივერსიტეტში მიდიან, სადაც მცირე სწავლა-განათლების გამო გულ-გატეხილები არიან და ლექციებს იშვიათად ესწრებიან.

ანემპოდისტე ჯანელიძე.

—

სამკითხველოს შესახებ

(პასუხად ბ-ნ ცქიტიშვილს)

როგორც სჩანს თქვენი წერილიდგან, დიდათ გაუბრაზებიხართ ჩემს შენიშვნას და ვინ მოსთვლის, რა თინებს არ ჩადიხართ, რომ მკითხველების წინაშე თავი იმართლოთ. მაგრამ გარწმუნებთ, ბ-ნო ივანე, რომ თქვენი წერილის სიყალბეს, ვინც-კი წაიკითხავს და ვინც თქვენ გიცნობთ, როგორც ბიბლიოთეკარს, მიხვდება. ახირებულია, ღმერთმანი, კაცს ნაკლულევანებაზე მივუთითოთ და ისიკი იმის მაგიერ, რომ დაუკვირდეს თავის მოქმედებას და გაისწოროს ნაკლულევანება, იწყებს უთავბოლო წერილის წერას, რომელიც მთლად სიცრუეზედ არის აგებული. ბ. ივანე წერილს თავის ქებით იწყებს და ქებითვე ათავებს: აი, ასე მეგობრავა გული სამკითხველოსთვის და ასე ვუძღვებით საქმესაო. როგორ ასრულებთ საქმით ამ ზემო ნათქვამ სიტყვებს, სამკითხველოს ყველა მოსარულენი კარგად ჰხედავენ. სწერთ, სამკითხველოს არავინ გულშემატკივარი არა ჰყავს და არც საწევრო ფული შემოაქვთ თავის დროზეო. რამდენად მართალია თქვენი სიტყვები, ამას ქვევით დავინახავთ. მე პირადად არა ერთს და ორს მაგალითს დავესწარი, რომელზედაც თქვენც დამეთანხმებით. როცა თქვენ ზოგიერთ წევრებს საწევრო ფულის თხოვნა დაუწყეთ, გიპასუხეს: საზოგადო კრებამდის ფულს ვერ შემოვიტანთო, რადგან სამკითხველო ჩვენთვის არ არსებობს და ვერც წიგნებით და ვერც ჟურნალ-გაზეთებით თავის დროზე ვერ ვსარგებლობთო. ახლა ერთი მითხარით, ვინ არის ამაში დამნაშავე? თქვენ, რომლებსაც სამკითხველოს ხელმძღვანელობა გაკისრიათ, თუ წევრები, რომლებსაც საწევრო ფულის შემოტანა საზოგადო კრებამდის არ უნდათ? რომ ფული თავ-თავის დროზე შემოიტანონ წევრებმა, საჭიროა სამკითხველოში რაიმე წესიერება დაიცვათ, რომ ყველას, განურჩევლად წოდებისა, შეეძლოს სარგებლობა, და არა ერთს და ორს თქვენს კარგს მეგობარს და პატივსაცემ პირებს როგორც ხანდისხან თქვენ ამბობთ ხოლმე. სწერთ, სამკითხველოს შენობისათვის ფული არა გვაქვს და ვისაც-კი მივმართეთ შემწეობის აღმოსაჩენად, ყურადღება არ მოგვაქციესო. ამ ზემო ნათქვამ სიტყვებით უსამართლოდ ეხებით არა თუ იმ პატივცემულ პირებს, რომლებიც კიდევ შარშან—როცა პირველად იყო აღძრული ლაპარაკი სამკითხველოს საკუთარ შენობის შესახებ, შემწეობა აღგვითქვეს, არამედ ყველა დიდი-ჯიხაიშის მცხოვრებლებსაც. ვითომც იმდენი შეგნებული მკითხველი არ მოიძებნებოდეს აქ, თქვენი სიტყვით, რომ ერთი ოთახის ასაშენებელი ფული ვერ გამოიღონ! უთუოდ გეხსომებათ, ბ-ნი სერებრიაკოვი, რომელიც სამკითხველოს საპატიო წევრია, შეგვპირდა, ოღონდ შენობა დაიწყეთ და ხე-ტყეს მე შემოგაწევთო. აგრეთვე ნიკო ნიკოლაძე, დ. დორთქიფანიძე და კიდევ სხვებიც შემწეობას დაგვპირდნენ: როგორც თქვენ, ისე ყველა მანდაურებმა, კარგად იცით, რომ დიდი-ჯიხაიშის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში სამკითხველოს შენობისათვის ასი მანეთია მიბარებული აგერ თითქმის ორი წელიწადია და თქვენ-კი იძახით, ფული არა გვაქვსო. სხვა რომ არა იყოს-რა, ამ ფულითაც მოხერხდებოდა ერთი ოთახი გაგვეკეთებია სამკითხველოსათვის და შიგ მოგვეთავსებინა დროებით. დალოცვილო, ხუთ თუმანს რომ იხდით სამკითხველოს ოთახისათვის წელიწადში, ნუ-თუ არ შეიძლებოდა იქვე უფრო იაფ-ფასიანი ოთახი გეშოვნათ და დანარჩენი ფულით თუნდ წიგნები შეგემატათ სამკითხველოსთვის?!. რაც შეეხება იმას, რომ, ვითომ თქვენ ოთხს წელიწადს უსასყიდლოდ ემსახურებოდით სამკითხველოს, ეს სიმართლეს მოკლებულია. მართალია, ხედავდით სამკითხველოს სიღარიბეს და მცირე სასყიდელს გვჯერდებოდით, რისთვისაც მადლობის ღირსი ხართ, მაგრამ იმით თავის მართლება, რომ უსასყიდლოდ ვიყავი და არაფერი არ მომეთხოვებოდათ, ეს უსაფუძვლოა. ხომ თქვენივე ნებით იკისრეთ ამისთანა კეთილი საქმე? თუ არა თქვენ, სხვაც მოინახებოდა, დამერწმუნეთ, რომელიც, ვფიქრობთ, უკეთ წაიყვანდა სამკითხველოს საქმეს...

მკითხველი.

სომხეთი

სომეხ-ქართველთა საქმე.

შარშან, „ანაჰიტ“ სომხურ ჟურნალში, რომელიც პარიზში გამოდის, კავკასიის ქრონიკის განყოფილებაში ოქტომბერ-ნოემბრის ნომერში მისმა ტფილელმა თანამშრომელმა, ბ-ნმა გ. მელიქ-ყარაგეოზიანმა გამოაქვეყნა ერთი წერილი სახელად „ჰაი-ვრაცაკან ჰარც“, ვითომ-და სომეხ-ქართველთა საქმეო. წერილი რადგან დიდად საინტერესოა, სიტყვა-სიტყვად თარგმნილს მოვიყვანთ აქ რ̃ „ივერიის“ მკითხველმა შეიტყოს, თუ საქართველოს სომხის ინტელიგენცია და კერძოდ „ანაჰიტის“ რედაქცია და მისი რედაქტორი ბ-ნი ჩობანიანი რა თვალით გვიყურებენ. აი თვით წერილიც:

„აგერ ათი წელიწადი იქნება, რაც კავკასიაში არსებობა აქვს ერთ საქმესა, რომელსაც ეწოდება „სომეხ-ქართველთა საქმე“. ეს საქმე ასტეხეს თვითონ ქართველებმა, რომელნიც ჩივიან, სომხები დაეპატრონნენ სრულიად კავკასიის სიმდიდრეს და იმ სიმდიდრის წყალობით არა თუ მარტო სომხის, არამედ ქართველთა გუბერნიებშიაც ებატონებიან სრულიად ხალხსა, მაშასადამე, საქართველოსაცაო. შორს რომ არ წავიდნენ, უთითებენ ტფილისსა, რომელიც ნამყოში საქართველოს დედა-ქალაქი ყოფილა და დღესაც უმთავრესი ქალაქია ერთის გუბერნიისა, რომლის მკვიდრთაც უმთავრესად შეადგენენ ქართველები, მაგრამ იმ ტფილის ქალაქში სომხებს არა თუ ყოვლად ძლიერი ელემენტი შეუქმნიათ, არამედ რიცხვითაც ქალაქის ყოვლად დიდი ნაწილი უჭერიათ. ამას გარდა, ნუ დავივიწყებთ, რომ ტფილისი კავკასიის დედა-ქალაქია, მთავრობისა და სამწერლო-საკულტურო ცენტრი. აი ამ ამბისა გამო დაფიქრებული ქართველთა მწერლები, როგორც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ცდილობენ დაარწმუნონ თანამემამულენი, რომ „ერთობილის“ (ჰავაქაკან) ძალით დაუზოგველად ებრძოლონ სომხებსა, როგორმე მათ ბატონობას კვეთება მისცენ, რადგანაც იმ ბატონობას შეუძლია ბოლოს-და-ბოლოს სრულიად გადაყლაპოს ქართველთა ერობა და მოუსპოს ცხოვრების ღონისძიება,—ერთობილის ძალით, რადგანაც ინდივიდუალი ბრძოლა უძლურია ისეთ ხალხთან, როგორც სომხები არიანო.

ნუ-თუ მართალნი არიან ქართველები?

ნამდვილი ამბავია, რომ სომხები ეკონომიურად ყოვლად ძლიერი ხალხია კავკასიაში და ამ ნივთიერის სიმდიდრის წყალობით ყოვლად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივ საზოგადო საქმეებში. ზოგიერთი რამ პირობა რომ არ ცდილობდეს და ხელს არ უშლიდეს სომხებს როლის თამაშში, მაშინ სომხების მნიშვნელობა, მათი მხნეობისა და მოხერხების წყალობით, უფრო დიდი იქნება უსათუოდ. დაუმატოთ ამას ის გარემოებაც, რომ სომხთა რიცხვი მიწეულია მთავრობის სამსახურში მინიმუმამდე და მაშინაც ცხადი იქნება, რომ საკმაო დაბრკოლება ყოფილა სომეხთათვის კავკასიაში როლის სათამაშებლად, და რომ ამ ჟამად მარტო-ღა ნივთიერი სიმდიდრეა, რაიცა მათ ღონისძიებას აძლევს თავიანთი მდგომარეობა დაიცვან.

მაშასადამე, გამგეობითის თვალით თუ შევხედეთ, სიტყვაც არ ითქმის სომეხთა მიერ ქართველებს რამე გასაჭირი ადგესთ, სანამ ქართველთა რიცხვი მთავრობის სამსახურში ათჯერ უმეტესია, ვიდრე სომხებისა. ამ სამსახურის მაღალ თანამდებობისა ერთი სომეხიც არ იპოვება წარმომადგენლად, მაშინ როდესაც ქართველებს ჰყავსთ ადგილობრივ და მაღალ თანამდებობის წარმომადგენელნი. ამას გარდა, ხშირადაც მოხდება ხოლმე, სომხის მაზრებში მაზრის უფროსი ბევრია ქართველი, მაგრამ ქართველთა მაზრებში შეუძლებელია მაზრის უფროსი იქნეს სომეხი. ერთი სიტყვით, აქედან შეიძლება დაისკვნას, რომ გამგეობითის თვალით სომხებს არ შეუძლიანთ რაიმე გავლენა იქონიონ კავკასიის საქმეებზე ქართველთა საზარალოდ და რომ პირ-იქით ასეთის საშუალებისაგან სარგებლობენ უფრო ქართველები.

დაგვრჩენია ეკონომიური ბრძოლა.

მაგრამ ვის გაუგონია, ერთმა თემმა მეორე შეაჭირვოს „განგებ“. შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამისათვის საჭიროა, იმ თემთა, თუ ხალხთა შორის მძვინვარე მტრობა იყვეს, ხოლო ეს „განგებ“ შემაჭირვებლობა, თუ დევნა შეიძლება გაგრძელდეს არა დიდ-ხანს, რადგანაც მოკლე, არა ბუნებრივის ხნის შემდეგ, ეკონომიური მიმართი ხელახლავ დაიწყებს მდინარებას ბუნებრივის გზით. ეკონომიურის მიმართის ყოვლად ძირითადი ელემენტი სარგებლობაა, სარგებლობა თვითონ და არა მომცემი იმ სარგებლობისა. სარგებლობის მიმღებისათვის სულ ერთია, თუ სარფას ვინ აძლევს, სომეხი, ქართველი, რუსი, თუ ჩინელი და, მაშასადმე, როცა, მაგალითად, ბაქოელი ვინმე ნავთის პატრონი ჰყიდის თავისს საქმესა და არ მიჰყიდის ქართველ მუშტარსა (თუ შეხვდა), ეკონომიურის ენით იმას ნიშნავს, რომ გამოჩნდა სხვა ვინმე, რომელმაც იმ საქმეში უფრო მეტი ფასი შეაძლია, ვიდრე ქართველმა, ცხადია რომ ქართველთა თავად-აზნაურობის უფროს ერთი ადგილ-მამული დაგირავებულია, უმთავრესად ბანკებში, ხოლო ზოგიერთი კერძო კაცებთანაც. როცა ვინმე აზნაური, ვალებში ჩავარდნილი, მოისურვებს ბოლოს და ბოლოს თავის ადგილ-მამულის დაგირავებას, იმ დროს, იცით, რას შვრება? იგი ეძებს სომხებს, რადგანაც იგინი არიან ფულის პატრონები და შეუძლიანთ ყოველ შემთხვევაში უფრო მეტი შეაძლიონ, მაშასადამე, ქართველი, თუმცა სომხის მოძულეა, მაინც იმას აძლევს თავისს ადგილ-მამულსა. სადღაა მიზეზი სომეხთა სიძულილისა ქართველთა მიმართ? მაგრამ ყოვლად სასაცილო რამ შემდეგია. ქართველები უჩივიან სომეხს, როგორც მაშინ, როცა მას ამა თუ იმ მიზეზით არ უნდა დაიგირაოს, ან იყიდოს ესა თუ ის მამული, ისე მაშინაც, როცა იგი ყაბულდება ქართველის წინადადებას; პირველ შემთხვევაში იგინი ამბობენ, სომხები განზრახ არ აძლევენ ქართველს ფულს, მამულს არ იგირავებენო. მეორე შემთხვევაში იგინი ჩივიან, სომხები ცოტ-ცოტად ხელში იგდებენ რაც აბადია ქართველსაო. ამის მაგალითს ახლო ნამყოც გვაძლევს. საქართველოს ცნობილი თავადიშვილი მუხრან-ბატონი თავის დიდ სახლს ჰყიდდა მანთაშევზე, რომელიც პირველად უარზედ იდგა, მაგრამ ბოლოს იყიდა, და, რა გგონიათ, ამბობენ, წერილით, თუ სიტყვიერად ქართველები ჰსთხოვდნენ, იმ სახლს ნუ იყიდიო, მაგიერ (როგორც ლოგიკა მოითხოვდა) ემუდარებოდნენ სახლის პატრონსაც, თავისი სახლი არ გაეყიდა (ამბობენ, მანთაშევი თანახმა იყო ქართველთა თხოვნა შეესრულებინა, თუ ისინიც თავიანთ მხრივ მიჰყიდდნენ მას განსვენებულის გრიგოლ ორბელიანის სახლსა, რომელიც ბოლოს შეიძინა ქართველთა თავად-აზნაურობამ და სადაც იმყოფება ამ ჟამად „საქართველოს თავად-აზნაურობის თეატრი“. ქართველები არ დაყაბულდნენ).

როგორიღაა ქართველთა მეორე საჩივარი, ე. ი. ის, რომ სომხები ეტანებიან სარფიან ადგილებს და მოკლე ხნის განმავლობაში ყოველ წყაროსა და წყალს ხელთ იგდებენო. ეს საჩივარიც უმაღლეს ხარისხამდე ბავშვურია. შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, თუ ცხადი ყოფილიყო, რომ სომხებს ცალკე უპირატესობა ეძლევათ მთავრობის სჯულმდებლობაში, რომლითაც ადვილად დაიძლევა მეორე ხალხი, მაგრამ, ვიდრე სომხები იმ უპირატესობისაგან არ სარგებლობენ, პირ-იქით ასეთი საჩივარი სრულიად უადგილო გამოდის. თუ ბაქოს ნავთის მრეწველობაში სომხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭერიათ, იგია მათი ცნობილის თვისების ნაწყალობევი, როგორათაც სავაჭრო გამჭრიახობის, გარჯის, ხალისის და მართვის ნიჭისა. ხოლო თუ ქართველთა ჩივილი მართალია, მაშინ იმ ზომადვე დაუწყებენ ჩივილს ბაქოელ სომხებს ტფილელი, თუ ალექსანდროპოლელი სომეხი, რადგანაც ბაქოელი მდიდარი სომხები გამოუკლებლივ ყარაბაღელები არიან. თუ ტფილისმა ვერ შეიძლო დროით შეეტყო ბაქოს ნავთის მნიშვნელობა და ვერ გამოიჩინა ხელ-ყოფის საკმაო ხალისი ნავთის მოგებით საწარმოებლად, თავისივე ბრალია და არა ყარაბაღელის,—რა ერისგანიც უნდა იყოს ის ტფილელი, სულ ერთია.

ქართველთა გულდაკლებულობის მესამე მუხლი ის არის დაახლოებით, რომ სომხები,

---

ბისაგან, მაგრამ, ზოგნი ამბობენ, რომაო, მიტომ თვითონ იმან შემოუსია საქართველოს თათრებიო...

— ეჰ, ძმაო, რო ამბობენ, როვდი უნდა დაიჯერო. არ იცი, რომ მანამ კარგად გაშინჯავენ კაცის მოქმედებას, სიკეთე მტრობა ჰგონიათ?! თუ იმან შემოუსია, მაშ რაღათ ებრძოდა და რეკამდა თათრებს საქართველოდგან, მაგრამ, რო ვამობ, ქვეყანაზე ბევრი ცილის-წამებაა-მეთქი, ეგ არი, სხვა არაფერი... შარშან არ იყო, მე და შენაც კინაღამ შეგვაძულეს ერთმანეთს მეზობლებმა!

— რა ვიცი, ეგრე ამბობენ, თორე...

— ჰოო, და, იმათ რაც უნდა თქვან, შენ შენი გონება იქონიე.

— გიშველა ღმერთმა!

თუმცა მე ჩემ მდგმოიარებაზე თან-და-თან უფრო დავღონდი, იმიტომ რომ არ ვიცოდი, სად მივდიოდი, მაგრამ მაინც ამ-ნაირის ამბებით ძალიან გამართეს, და პირველათაც მაშინ ვიგრძენ ჩვენთა წინაპართა გმირების გაცნობის სურვილი. მაშ, შაბაშ, ამისთანა დიდებულს გმირს, რომელიც დაუტოვებს მომავალს სამშობლოსთვის თავ-განწირულ ბრძოლის სახელს, შაბაშ, გიორგი გმირს, რომლის სახელიც დღემდის მდაბიო ხალხის ხსოვნაშიაც-კი ანათებს ამ სიშორე მანძილამდის.

გარნა ამ ლაპარაკში ტივი მშვიდობიანათ მისრიალებდა და თან-და-თან ლევდა გზასა.

შუა-დღე მოტანებული იყო, რომ შორიდგან გამოჩნდა ტფილისის შენობები.

ცოტა ხანს უკან მოისმა ქალაქის ხმაურობაცა.

X

ნახევარ საათის შემდეგ ტივი დაბმული იყო მტკვრის ნაპირას ქალაქის სატივოზე და ჩვენ სამნი მივდიოდით სატივოს დუქნისაკენ, სადაც მეტივეებს ჰქონდათ დადებული ბინა.

— აბა, შვილო,—უცებ მამიბრუნდა და მითხრა ერთმა მეტივემ, როდესაც მივედით ქალაქის თავს სატივოს დუქანთან.

— ესეც შენი ქალაქი, ახლა მიაგნებ ი ვილაცა ნაცნობი დაკო გყავს?

— მივაგნებ,—ვუთხარ მე ცოტა ყოყმობით და გამოვემშვიდობე.

— მოიცა, მოიცა, შვილო, პური მოგშივოდა,—დამიძახა კიდევ მეტივემ, თითქო უცებ მოაგონდაო და მიმაბრუნა.—დაიჰი, აჰაა, გზა-და-გზა ჭამე, მშიერი ნუ მიხვალ, შვილო, იქნება იმ საათში არ გაჭამონ,—დაატანა კიდევ და გახსნა ხურჯინი. აქ ამოიღო ერთი მთელი შინაური პური და მომცა.

მე კიდევ მადლობა გადავუხადე და წაველი. მეტივეები დუქანში შევიდნენ.

ცოტა რომ მოვეფარე, ისევ შევდექი და დავიწყე ყოყმობა.—სად წავიდე ახლა?—ვფიქრობდი გულშია და ველარა ვბედავდი წინ წასვლასა. წარმოვიდგინე ჩემი მდგმოიარობა და ვიგრძენ თავი ობლათ. ახლა დამნანდა მეტივეების დაშორება და განვიძრახე ისევ იმათთან მისვლა, რომელთაც იცოდნენ ადამიანის შებრალება, მაგრამ ვერც ეს გავბედე, იმიტომ რომ დავუმალე ჩემი ვინაობა, რადგან მეშინოდა, არ წაეღოთ ეს ამბავი ჩვენს მხარეს, სადაც, უეჭველია, დამეძებდნენ, და არ დაეწყოთ ახლა აქაც ჩემთვის ძებნა.—მაშ რა ვქნა? ვისთან წავიდე? ამ უცხო ალაგას ვის შევჩივლო გამოუცდელმა ჩემი ამბავი?

— დავუწყე კიდევ კითხვა ჩემ თავსა. ქალაქის სახელი-კი გამეგონა, მაგრამ ნახვით სიზმარშიაც არ მენახა. შევჩივლო ვისმე, ვაი თუ შეატყობინონ,—მაშ, რა ვუყო? ვის ვენდო? თავი მოვიკლა? წყალში ჩავვარდე?—გამიელვა უცებ;—თუ სხვა გზა აღარა მქონდა, რაღათ გამოვრბოდი წყლიდგანა, რაღათ ვუძახდი მეტივეებს, მიშველეთ-მეთქი?!—მეტი გზა არ არის,—ვთქვი კიდევა და წაველი ჩემდა უნებურად წყლისაკენ. აქ უცებ მომაგონდა ჩემი მოხუცებული მამა, ჩემი დედა, ჩემი პატარა და ფოფო და მომინდა იმათი ნახვა.—ახ, ნეტავი, ეხლა მაჩვენა ჩემი მშობლები და სხვა არა მინდა-რა-მეთქი,—ვინატრე გულშია და შევდექი. ამიკანკალდა მუხლები და ვიგრძენ საშინელი სისუსტე, მერე მუხლ-მოკვეთილი დავეშვი ძირს მტკვრის ნაპირასა და წაველ ღრმა ფიქრებში.—სიკვდილი კარგია, როცა გაჭირვებულია კაცი, მაგრამ გამიგონია, რომ მწარეა,—მომადგა უცებ პირზე ეს სიტყვა,—სიცოცხლე-კი ტკბილია, როცა თავისუფალია კაცი, არა სტკივა-რა; მაშ რაღათ ვეტანები სიკვდილსა, როცა თავისუფალი ვარ და არა მტკივარა, მაგრამ რაზედ მოვიხმარო ეს თავისუფლება? თუ მართლა სიცოცხლე ტკბილია, საიდგან დავიწყო სიცოცხლის ბრძოლა, მოძრაობა? სიკვდილი თავისთავათ მოვა და არ დაგკარგავს, თითონ გიპოვნის, სიცოცხლეს-კი ველარ შეხვდები სიკვდილს შემდეგ. მაშ, ისევ სჯობიან სიცოცხლისთვის ბრძოლა გავწიო, მაგრამ, როგორ განვაგრძო მისი გზა?! ამ უცხო ალაგას მოვსულვარ გზა-დაკარგული ჩემ უნებურათა და არ ვიცი, საით წავიდე. ახლა აგერ ღამდება და ბინა არა მაქვს, რომ დავიძინო, კარში უნდა დავრჩე, ძილი-კი საშინლად მინდა, დაღალული ვარ მგზავრობისაგან, თვალები დამძიმებული მაქვს უძილობისაგან. უბინაობა არაფერი, ეხლა ზაფხულია, თბილა, არც ტყეში ვარ, ნადირი არ შემჭამს აქა, დათვი აქ ვერ მამიტაცებს, ახლა რაღა ვჭამო? დღეის საგძალი, ღმერთმა უშველოს მეტივეებსა, იმათ მამცეს. ხვალა? ხვალ ვიღა მაჭმევს? ისინი მგონია კიდეც დაბრუნდნენ თავიანთ სახლში. ვიღას მივმართო? დამრჩენია ისევ თავის მოკვლა. კიდევ კარგია, რაკი გაჩენა ყოფილა, სიკვდილიც ნუგეშათ დაჰყოლია კაცსა. რა ძნელი იქნებოდა, რომ სიკვდილი არ ყოფილიყო. რა უნდა ექნა მაშინ სასო-მიხდილ, გაჭირვებულ ადამიანს? უნდა სულ-ცოცხლივ ჯოჯოხეთში წვალებულიყო გაუთავებლათ! მაგრამ, ძალათ სიკვდილსაც ხომ ჯოჯოხეთი არ ასცდება?მაშ, ისევ სჯობია აქ სიკვდილამდინ ამ ჯოჯოხეთში ყოფნა, ვიდრე იქ, იმ ჯოჯოხეთში სიკვდილს შემდეგაც წვალება. თუ მართლა სასუფეველი არის სადმე, უეჭველია ჯოჯოხეთიც იქმნება და, რომ პირველს ავცდე, მეორესაც არი არ შევხვდე სრულის საბოლოვოთი, უნდა თავი არ მოვიკლა, და თუ საზრდოს არ დავუწყე მოპოვება, ისევ ძალათ სიკვდილი იქნება, გაურჯელად შიმშილით სიკვდილი, და თუ გავისარჯე და გარჯამ ამაოდ ჩამიარა, მაშინ ჩემი ბრალი აღარ იქნება.

ამ ფიქრებში და სჯაში მყოფი უცებ გამომარკვია მტკვრის შუილმა. საღამოს ოდნავ მობერილმა ნიავმა აღელვა მტკვარი და ვნახე დაბინდებულიყო.—ახლა სად წავიდე? დავუწყე კიდევ სასო-წარკვეთილმა კითხვა თავს და არ ვიცოდი, რა მექმნა, თავს ათასი შიშისა და ძრწოლის ლანდები მეხვია, ქალაქიდან მოჩანდა ფარნების შუქი, ქუჩებიდან მოისმოდა ეტლების გრიალი, შორიდან მოდიოდა კაცთა ღრიანცელის ხმა, თითქო ჩხუბიაო; ჩემს წინ მოდუდუნე მტკვარს დაედო თან-და-თან ფერი მდუმარებისა და ამ მდუმარებაში რაღაცა საზარელი სახე მიეცა, და ყველა ესე ჰბადებდა ჩემში რაღაცა შიშსა და ძრწოლას. აქ მე უნებურათ დავუწყე მყუდრო ალაგს ძებნა ღამის გასათევად და მივუახლოვდი ქალაქის ნაპირს ოლგას ქუჩას, სადაც უგრძნობლად მივეგდე მოფეთქილი ერთ ვიღასიც სახლის ბნელ კუნჭულში.

(შემდეგი იქნება)

რაკი ვითომც თავიანთ საქმეებში პირწმინდა არ არიან და ღონისძიებაშიაც გაურჩეველნი არიან, სისწრაფით იხვეჭენ ფულსა, და ამნაირად ქართველები განზე რჩებიან. გარდა ამისა, თუ ქართველი სომეხთან ერთად არის რამე საქმეში, მას, ვითომც თავისი გულუბრყვილობისა და პირ-წმინდობის წყალობით, არ შეუძლია თანამოშურნეობა გასწიოს თავის ამხანაგთან, სომეხთან, რომელიც ცოტცოტად ერთად-ერთი პატრონი ხდება.

ეს მუხლი, ჩვენის ფიქრით, ერთად-ერთი მუხლია, რომელიც შესაძლოა საცილობელი იქნეს. მართლა, შეუძლებელი როდია, ერთი ხალხი უფრო გაურჩეველი იყვეს ღონისძიებაში არსებობისათვის საბრძოლველად, ვიდრე მეორე, და შეიძლება კიდევ შევიწყნაროთ, რომ სომხები უფრო გაურჩეველნი არიან, ვიდრე ქართველები, მაგრამ მარტო ამით შეუძლებელია გავამართლოთ ქართველთა წარმატების ნელად მსვლელობა. საქმეც ის არის, რომ ქართველთა გაუმარჯვებლობის უმთავრესი მიზეზი უნდა ეძიოს კაცმა მათსავე ზარმაცობასა, გულის ამყოლობასა და შედარებით გონებრივ სუსტ ნიჭიერებაში. სამაგიეროდ ყოველი ცოდვა რომ სომხებს მოვახვიოთ თავსა, ნიშნავს მიზეზთა უძიებლობას.

მართალი ვთქვათ, საეჭვოა, რამე ხარისხამდე ნამდვილი იყოს ჩივილი სომეხთა გაურჩეველობისათვის. ფულით მოცილეობაში იგივე სულია გაბატონებული, რაც პოლიტიკაში. ყოველი ძალა ისწრაფის თავის გამოჩენას. ძალთა მოცილეობაში, ვინც უფრო ძლიერია, ის წინ მიდის, ხოლო ვინც უკან რჩება, ჩივილს უწყებს ძლიერსა და ყოველ ბრალსა სდებს მისი მოცილეობის უწყალო საშუალებას. ისიც მოხდება, რომ დამარცხებული მართალიც იყვეს კერძოდ, ხან-კი სრულებითაც. მაგრამ არა იშვიათია, გამარჯვებული თვითონ იყვეს ბრალიანი. აქ „ბრალიანის“ იდეა საჭიროა მივიღოთ არა ზნეობრივის აზრით, არამედ მარტო ცხოვრებისათვის ბრძოლის კვეთების თვალით. ერთი ბრალიანია, რადგანაც მხნეობა და სერიოზობა არა აქვს, მეორე, რადგანაც ხამია შესაფერი ნიჭისა, ხოლო მესამე, რადგანაც არ გაეგება თავისი სიმართლე როგორ დაიცვას, არ ესმის, რომ ეკონომიურ ბრძოლაში არას დროს ძლიერი არ ეფარდება სუსტსა. მაგრამ მოხდება (და საჭიროც არის მოხდეს), რომ სუსტი ისწრაფის ეფარდოს ძლიერსა. სადაც მსჯელი თანახმა გახდება, რომ შეუძლებელია მოეთხოვოს ადამიანსა, სუსტისადმი გულშემატკივრობით დაიქირაოს იგი, მაგალითად, საქმის მმართველად, ვიდრე დარწმუნებულია, რომ სხვა ვინმე იმავე ფასად უკეთესად შეასრულებს იმ საქმეს და უმეტეს სარგებლობას მისცემს. უსათუოდ გამონაკლიც ახლდება ამას, მაგრამ კერძოობითი იქნება პირადის მიმართის გავლენის წყალობით, ხოლო საზოგადო პრინციპი, ჩვეულება, ნამდვილი ფაქტი ყოვლად გამომხატველის წინააღმდეგობით ზედმოქმედებს ამ გვარ მოთხოვნილებაზე. თუ ქართველებთან ერთად ვართ, როცა ამა თუ იმ სომეხს ბიწიერის ღონისძიებით თანხა მოუხვეჭია, არას დროს არ შეგვიძლიან მათთან ერთის აზრისანი ვიყვნეთ, როცა მათ ამ გვარი შემთხვევით სურსთ გაიმართლონ თავი უკან ჩამორჩენაში, განსაკუთრებით, როცა ასეთი შემთხვევა აულიათ, როგორც სომეხთა წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. საჭიროა ისიც დავსძინოთ, რომ ჯერ საკითხავია, თუ ქართველები როგორნი იქნებოდნენ, რომ სომხის საჭირო ნიჭითა და მხნეობით დაჯილდოებულნი იმ ზომადვე შესდგომოდნენ ალებ-მიცემობას, ან მრეწველობას. კაცს თავი ხშირად სუფთა ჰგონია, რადგანაც არაფერს საქმობს, და ამისთანების რიცხვი ქართველთა შორის ძლიერ დიდია. აღარ მინდა გავიხსენო აქ ის აზრები, რაც გავრცელებულია ქართველთა შესახებ, ერთს-კი ვიტყვი, რომ რასაც ადვილად შოულობს ხელი, იმას ადვილადვე ჰფლანგავს. ქართველთ თავად-აზნაურობა მცირე გარჯით სარგებლობს თავისს ნახევრად აოხრებულის ადგილ-მამულისაგან, თუ ადგილ-მამულს აგირავებს, იმავე დროს გულუხვად ფლანგავს ალებულ ფულს, მაგრამ იმას ჯერ კიდევ კითხვა უნდა, რისთვის ფლანგავს. რა საკვირველია პირადისა და მეორე ხარისხოვანის საჭიროებისთვის—ტანისამოსისა, ფაიტონისა, გართობისათვის და სხვ. ხოლო ცხოვრების სერიოზულ მოთხოვნილებას პირადს, საერთოს, თუ საზოგადოებრივს, ნუ-თუ ეძლევა კმაყოფილება ისე, როგორც სომეხთა შორის? აღარას ვიტყვით ქველმოქმედებისას, სადაც ქართველთა ადგილი ნულია. ამას თვით ქართველებიც აღიარებენ“.

ამით არ თავდება ეს წერილი. ბ. მელიქ ყარაგეოზიანი შემდეგსაც ჰპირდებოდა მკითხველებს, მაგრამ აი რა უნდა მოგახსენოთ: „ანაჰიტის“ ნუმერი, სადაც ზემორე წერილია მოთავსებული, უცნობის პირისაგან მოუვიდა „ივერიის“ რედაქციას კონვერტში ჩადებული და თუ დაგვიანდა თარგმნა, მიზეზი ის იყო, რომ მის შემდეგის ნუმრის მიღების მოლოდინში ვიყავით. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა და მარტო ესლა დაგვრჩა სათარგმნელი.

წერილში ბევრი რამეა, რასაც ქართველმა პუბლიცისტებმა ყური უნდა ათხოვონ. იმედიც არი, ხმა ამოიღონ. მხოლოდ მსურს, მკითხველი შევაყენო ერთ აზრზე, სომხის ავტორი რო ბრძანებს, **ათი წელიწადია, რაც კავკასიაში არსებობა აქვს სომეხ-ქართველთა საქმეს და ეს საქმე თვითონ ქართველებმა აღძრესო.** ეს საქმე, თუ დავეკითხეთ ჩვენს ისტორიას და ჰაისტანის მეისტორიეებსაც, მაშინდელია, ერთი, რაც სომხებმა უარ-ჰყვეს ბერძნის მართლმადიდებელი სარწმუნოება და მეორე, რაც მათი ხელმწიფობა მოისპო. მოგეხსენებათ პირველი ამბავი VI საუკუნის დასასრულს, ხოლო მეორე ამბავი XI საუკუნის დამდეგის დროინდელია. ამ სომეხ-ქართველთა საქმის სიძველეს ცხადად მოწმობს აგრეთვე ქართული მწერლობა X საუკუნემდე (იხ. მ. გ. ჯანაშვილის წიგნი იმავე სათაურით, ტფილისი 1900 წ.) და განსაკუთრებით მაშინდელის საერო მწერლობის მოვახშეთა წინააღმდეგ დრტვინვა, რომელიც ძლიერის კალმით არის გამოხატული „მოსესხისა და მოვალ ის“ თხზულებაში. ის მოვახშენი, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, ჩვენთვის სულ ერთია, თუმცა სომხებსა ვგონებთ, რადგანაც მაშინდელი ჩვენი მოქალაქობრივის ცხოვრებისა და კულტურის ცენტრი იყო ზემო-ქართლი, ანუ მესხეთი, მოსაზღვრე სომხეთისა და ალებ-მიცემობაში სომხებს არც მაშინ ეძინებოდათ, ხოლო შემდეგ საუკუნეებში რაც მოხდა და რაც ეხლა ხდება (არც კეთდება), ყოველის ნაკითხისა და შეგნებულის ქართველისთვის ცხადია.

კლდია.

უცხოეთი

საფრანგეთი. გალლიფეს წერილში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, პირდაპირ მუქარაც ყოფილა ფრეისინეს მიმართ:

„სიტყვა გამიჭიანურდა—სწერს გალლიფე—და ვაი თუ თავი შეგაწყინოთ, თორემ უფრო დაწვრილებით შემიძლიან მოგახსენოთ ყოველივე, რადგან თვით მე ვიყევი შუამავლად თქვენსა და ჰერცოგს შორის და ამ შუამავლად თქვენვე ამირჩიეთ. თუ თქვენ მოთმინებას იქონიებთ, წიგნის გამომცემელი პლონი მოკლე მომავალში დაჰბეჭდავს ჩემს „მოგონებას“, რომელსაც მთელი 43 წელი დღიურად ვადგენდი და რომელიც ნამდვილს საბუთებზეა დაფუძნებული. თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ იგი ჩემის სიკვდილის შემდეგ“.

ამ წერილის შემდეგ „Figaro“-ს თანამშრომელმა ინახულა ფრეისინე, რომელსაც შემდეგი ეთქვა:

„მე მხოლოდ ის შემიძლია ვსთქვა, რომ საკადემიო არჩევნების დროს მიღებული არაა საპოლიტიკო ხელშეკრულობის მიცემა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე ამ წესისათვის არაოდეს არ მიმტყუნებიაო“.

— საფრანგეთის პეკინში მყოფი ელჩი ბო ინდოეთ-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა; გაზეთებს ეს განკარგულება უცხოეთში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენელთა განახლების პირველ ნაბიჯად მიაჩნიათ. „Figaro“-ს სიტყვით, სტამბოლში მყოფ ელჩს კონსტანსაც მალე დაითხოვენ თანამდებობიდგან; დათხოვნილ იქნება აგრეთვე ბერლინში მყოფი ელჩი მარკიზ დე-ნო ჰაილი და მის მაგივრად დაინიშნება კამბონი, რომელიც ამ ჟამად ვაშინგტონის ელჩადაა.

ინგლისი. მეფის ავადმყოფობის შესახებ სანუგეშო ამბებს იუწყებიან.

თიბათვის 18 მეფემ პირველად მიიღო მაგარი საჭმელი, სახელდობრ, მოხარშული თევზი. გარდა ამისა, თამბაქოს მოწევის ნებაც მისცეს. ექიმები ამ ჟამად იმის ბჭობაში არიან, საით გაისტუმრონ მეფე, რომ უფრო მალე გამოსადდეს იგი. დედოფალი სანდრინჰემს არჩევს, რადგან მყუდრო ალაგიაო. თვით ედუარდი სოლენტს ამჯობინებს, რადგან იქ თავის იახტაზედ შეუძლია დროს გატარება. უფრო შესაძლებელი-კია, რომ ექიმებმა ვინძორს გაჰგზავნონ იგი, სადაც სასახლესთან დიდებული წალკოტია გაშენებული. მეფეს ჟურნალ-გაზეთობის კითხვაც შეუძლია, მხოლოდ ზომიერად; ავადმყოფს ძილი კარგი აქვს, ასე რომ დასამშვიდებელ წამლების მიღება აღარ ეჭირვება.

იტალია. დეპუტატთა პალატა დაიშალა. უკანასკნელ სხდომაზედ დეპუტატმა რინუცციმ პალატის მხრივ მადლობა მოახსენა პალატის პრეზიდენტს ბიანკერს და მინისტრ-პრეზიდენტს ცანარდელლს; სხვათა შორის ორატორმა სთქვა, რომ ცანარდელლის სამინისტროს ბეჯით მმართველობის მეოხებით იტალიის მრავალ ოლქს, მათ შორის სიცილიასაც, განუხორციელდა სანუკარი სურვილიო.

შვეიცარია. ბერნის უნივერსიტეტის სენატმა მწუხარება განაცხადა, რომ „პროფესორ ფეტტერის მიერ ნიურნბერგში გერმანელთა გაზეთების სიაზიილო ნადიმზედ წარმოთქმულმა სიტყვამ სამწუხარო უსიამოვნება დაბადაო“. ფეტტერმა რექტორობასაცა და პროფესორობასაც თავი დაანება.

ესპანია. ყველა რკინის გზებზედ მოსამსახურენი სამუშაო ქირის მომატებას თხოულობენ. დამდეგ მკათათვეს მოხდება დელეგატთა საერთო კრება. იმ შემთხვევაში, თუ რკინის გზათა მმართველობამ არ დააკმაყოფილა მათი თხოვნა, გადაწყვეტილია პირი შეჰკრან და მუშაობა შესწყვიტონ.

ავსტრია-უნგრეთი. პანგერმანობის მიმდევარი დეპუტატი ბერგერი ხმალში გაიწვია ერთმა სტუდენტმა,—რომელმაც მოპირდაპირეს ყური ჩამოათალა. მიზეზი ხმალში გაწვევისა—საპოლიტიკოა.

შეერთებული შტატები. ამერიკის კონგრესის სესსია დამთავრდა და პალატა ქრისტეშობის თვემდე დათხოვნილ იქმნა. ყველაზე უფრო საყურადღებო საკითხი, რომელიც სესსიამ დაამტკიცა, პანამის არხის გაჭრა იყო. კანონ-პროექტი კუბისათვის სადამოჟნო შეღავათის მინიჭების შესახებ უარ-ყოფილ იქმნა; ხოლო განხილვა იმ პროექტებისა, რომელიც შეეხებოდა შეერთებულ შტატებში გადასახლების მსურველთა განსაზღვრას და ანარქიზმთან ბრძოლას, სესსიამ ვე'ა მოასწრო და მერმისისათვის გადასდო.

ჰოლანდია. ბერლინში ცნობა მიიღეს ამსტერდამიდგან, რომ ორანჟის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი შტეინი უიმედო ავადმყოფიაო. გასულ შაბათს ეზიარა, რადგან აღსასრულის მოახლოვება იგრძნო.

გერმანია. იმპერატორ ვილჰელმის მიერ მოყვანილი სიტყვები, რომ „სარწმუნოებრივ თავისუფლების ნავთ-საყუდელი მხოლოდ გერმანიააო“, პირველად უარ-ჰყვეს ცენტრის ორგანოებმა, მაგრამ შემდეგ გენერალმა ლოემ თავის პატიოსანის სიტყვით დაადასტურა იგი. ამ სიტყვების გამო ვატიკანმა ერთჯერ კიდევ განუცხადა თავისი მეგობრული გრძნობანი გერმანიას.

Politische Corr.“-ი იუწყება, რომიდგან, რომ იმპერატორ ვილჰელმის მიერ ახენში წარმოთქმულმა სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ვატიკანშიო. ეს ახალი დამამტკიცებელი საბუთია, რომ გერმანიის იმპერატორი დიდ მნიშვნელობას აძლევს გერმანიისა და პაპის შორის კეთილ-განწყობილების დამყარებასაო.

— პოზნანის ოლქის ქალ. ვრეშენში თანდა-თან მატულობს გერმანელთა და პოლონელთ შორის უთანხმოება; მაგ. ამას წინად 40 პოლონელმა მოწაფემ სამღვთო სჯულის გაკვეთილზე პასუხი არ აღირსეს მასწავლებელს, რადგან იგი კითხვებს გერმანულ ენაზედ იძლეოდა.

ჩინეთი. ის ხმები, ვითომ ჩინეთი სრულებით უთმობდეს მანჯურიას რუსეთსა, ოფიციალურად არ მართლდება, მაგრამ არც იმის წინააღმდეგი განუცხადებია ვისმე. ცნობილს დიპლომატს ვოუტინ-ფანს „ლაფანის სააგენტო“-ს კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ ეგ ხმები მე არა მჯერა და ჩინეთის მთავრობა არავისა და არაოდეს არ დაუთმობს მანჯურიასაო. „რუსეთი მეტად კეთილი მეზობელია ჩვენი და მაგრე არ მოგვექცევაო“.

ავსტრალია. ჩრდილოეთ-ავსტრალიის ამხანაგობას (North Avstralian League) მოწადება დაუბეჭდია და საზოგადოებას აქეზებს, რომ მალე შეუდგნენ რკინის გზის გაყვანას, რომელმაც მთელი ავსტრალია უნდა გადასჭრას სამხრეთით ჩრდილოეთამდე „პორტ დარვინამდე“. ეს ყველაზედ უფრო მოკლე გზა იქნება ავსტრალია-ევროპისა: „პორტ დარვინიდგან“ პორტ-არტურითა და შემდეგ ციმბირის რკინის გზით ავსტრალია შეუერთდება დასავლეთ ევროპას. ლონდონიდგან პორტ-არტურამდე რკინის გზითა და შემდეგ პორტ-დარვინამდე ზღვით მოგზაურობა კაცზე 350 მან. მეტი არ უნდა დაჯდეს.

სხვა-და-სხვა წერილები

ზოგიერთ ჩვენის მწერლისა და კორესპონდენტის საყურადღებოდ.

დღემდის ვერ შევიგნია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირადობის პატივისცემას, ზრდილობიანს და თავაზიანს სიტყვა-პასუხს, სხვის ღირსებისა და „მე“ ს შეწყნარებას. მწერალმა სხვის სამხილებლად დაწერილს წერილსა და შენიშვნაში ერთს წამსაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ის სხვაც კაცია, იმასაც აქვს თავმოყვარეობა, იმასაც თავზედ ქუდი ჰხურავს, იმასაც შეუძლია მსჯელობა და ნება აქვს იქონიოს საკუთარი აზრი და შეხედულობა ამა თუ იმ საგნის შესახებ.

ზოგიერთი ჩვენებური კორესპონდენტებიკი, რაკი ხელში კალამს აიღებენ და ვისმეს ნიშნში ამოიღებენ, მუდამ და მარად ცდილობენ „დაამტკიცონ“ მოპირდაპირეთა არარაობა: სრულიად არა იცის-რაო, ყველაფერში დამნაშავეა, ცუდი ხასიათი აქვს, მისზედ ჩვენ ვიციოთ და სხ.

საზოგადოებისთვის ეს-კი არ არის საგულისხმო, არამედ ის, თუ ვინ რა საქვეყნო საქმეს მოჰკიდა ხელი და როგორ შეასრულა ეს საქმე. მხოლოდ საქმიანობით ფასდება კაცი და არა მით, ვინ რა ხასიათისაა, ვინ ფიცხია ანუ წყნარი, ვინ სად რას სჭამს და სვამს. აღნუსხეთ ყოველივე მიუდგომელად მიუკერძავად, გაუმშვენებლად და მიაწოდეთ საზოგადოებას და იგი ყველაზე უკეთ დააფასებს, რაა მოსაწონი და რა დასაგმობი, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

საზოგადოება უკეთესი მსაჯულია ყველა ნაფიც მსაჯულებზედაც-კი. მისი ალღო სამართლის სასწორის ლარია და ყოველთვის სწორედ სწონავს. მისი გამჭრიახობა ისე შორს მხედველია, რომ საწყალი სამოთხესა და ჯოჯოხეთში დასაბინავებლად იგივ სასწორი მიუჩნევია, სასწორი, რომელზედაც უნდა იწონებოდეს აქედგან საიქიოს მიმსვლელთა საქმენი, მხოლოდ საქმენი ავნიცა და კეთილნიცა.

ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინენ. ვისაც პატივისცემა გაქვს შენი, პატივი ეც შენს მოყვასსაც.

ბერი.

წერილი

რედაქციის მიმართ

„ივერიის“ გუშინდელ ნომერში მოთავსებულია შემდეგი ამბავი: „გოგოლაშვილს გამოუგზავნია 24 ივნისს, დილის ქქვს საათზედ, ქუთაისიდგან სათავად-აზნაურო ბანკში შესატანი ფული. დეპეშა მხოლოდ საღამოს რვა საათზედ მიიღო ბანკმა და რადგან დაგვიანდა, გოგოლაშვილის მამული გაიყიდაო“.

მე დეპეშა გადმოვეც ქუთაისიდგან ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას დილის 9 საათზედ. ტფილისის კანტორას მიუღია 10 საათსა და 25 წუთზედ დილის. ნაშუადღევის 2 საათამდე კანტორას უწყება ჩაუბარებია ბანკისათვის. გარდა ამისა, ნაშუადღევის სამის ნახევარზედ ბანკს გაუგზავნია ტელეგრაფის კანტორაში თავისი მოხელე, რომ ამოეწერა ცნობები გამოგზავნილ შესატან ფულის; იმასაც ამოუწერია და წაუღია ბანკში. მიღებულ ფულით განთავისუფლდა მამულები ნაშუადღევის სამ საათზედ. ვაჭრობა დაიწყო მექვსე საათის დასაწყისს. როგორც ზევით მაქვს ნათქვამი, სხვის ჩემ მიერ გამოგზავნილი შესატანი ფულის უწყება თავის დროზედ მიუღია ბანკს, მაგრამ არ ვიცი, რა კანონის ძალით გამოიყიდა ბანკმა მამული. ამ შემთხვევაში გასამტყუნებელია ბანკის გამგეობა და არა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. თუ გამგეობა იმას იტყვის, რომ, წესდების ძალით, ფული ერთის დღის წინად უნდა იყოს შემოტანილიო, ამ წესდებას თვითვე გამგეობა უხვევს გზას და მესამე ჩაქუჩ დარტყმამდე მაინც იღებს შესატან ფულს და ათავისუფლებს მამულებს. მაშ, ჩემმა მამულმა რადა დაიშავა, რომ სამის საათის წინ ვაჭრობის დაწყებამდე ჩემ მიერ გადმოტანილ ფულის უწყება მიიღეს და მაინც გამოიყიდეს.

გოგოლაშვილი.

„ივერიის“ ფოსტა:

ნიკა საბაშვილს.—თქვენ სწერთ:

ჰკვნესის მოხუცი საბრალო ხმითა,
სტირის უბედო თვის გაჩენასა,
ნეტავ, რა აწუხებს ამ მოხუცსა!
რა აგრძნობინებს მას,
ამ მწარე ფიქრსა?

საუცხოვო ლექსია, მხოლოდ ცოტა რამ აკლია: მარცვალი, ცეზურა და რითმა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 ივნისი

ჰელსინგფორსი. ქალაქმა ნადიმი გაუმართა ზუნების-მეტყველთ. ფლაგშტოკებზედ აფრიალებული იყო დროშები იმ ერთვნებათა, რომელნიც კრებას დაესწრნენ; მათ შორის იყო აგრეთვე ნიუდანდიის წითელ-ყვითელი და თეთრ-ცისფერი დროშაც. ქალაქის რწმუნებულთა წარმომადგენელი ანტელი კრების წევრებს შვედურს და ფრანგულს ენაზედ მიესალმა. საპასუხო სიტყვა პროფესორ მენშუტკინმა გერმანულს ენაზედ წარმოსთქვა და ფინლიანდიის სადღეგრძელო დალია. სხვათა შორის, დანიის პროფესორ ნორმან ჰანსენმა ილაპარაკა იმ ძალთა შესახებ, რომელიც იცავს სიჭარმაგეს და სიცოცხლის ხალისიანობას. [illegible] ილაპარაკა ფრანგულს ენაზედ შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტებას ცხოვრების ყოველს სარბიელზედ.

მოსკოვი. იაპონელი ვაჭრები შინა-მრეწველობის მრავალ ნაწარმოებს ყიდულობენ.

ვარშავა. „Варшав. Дневн.“-ი იუწყება, რომ ახლად შემდგარ მებაღეობის ამხანაგობას, რომელსაც განზრახვა აქვს უშუამავლოდ ვაჭრობის გამართვისა, წევრნი თანდათან ემატებიან. ამ ამხანაგობის გამგეობას მიწერ-მოწერა აქვს პეტერბურგს და მოსკოვთან, რათა ამ ქალაქებშიაც ხილეულობის და მწვანილეულობის ვაჭრობა ხელში ჩაიგდოს.

ლონდონი. დილის ბიულეტენი იუწყება, რომ მეფის მდგომარეობა უკეთესობაში მიდის დაუბრკოლებლივ.

პარიჟი. გაზ. „Temps“-ი მსჯელობს ბოლგარიის კრების გადაწყვეტილების შესახებ სესხის გამო, რომელიც საფრანგეთში აიღო ბოლგარიამ და ამბობს, რომ ეგ საქმე დიდი ამბავია ბოლგარიის ცხოვრებაშიო; სამუდამოდ მადლობელი იქმნება იგი რუსეთისა და საფრანგეთისა იმ დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს მინისტრებმა ვიტტემ და დელკასემ ბოლგარიის ფინანსების სისწორის აღსადგენად.

ლონდონი. ვაშინგტონიდან იწერებიან დეპეშით, რომ გერმანიამ და საფრანგეთმა გადასწყვიტეს უარ-ჰყონ ის პირობანი ტიანძინის გადაცემისა ჩინელთათვის, რომელთაც გამოიწვიეს პროტესტი ჩინეთისა. პირობანი შეიცვლება ამერიკის წინადადებათამებრ, რაზედაც უკვე თანხმობა გამოაცხადეს ინგლისმა, იაპონიამ და რუსეთმა.

ვენა. უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტი მოვიდა აქ და განაახლა მოლაპარაკება კერბერთან მორიგების თაობაზედ.

28 ივნისი

რომი. მეფის გამგზავრების გამო „Tribuna“ შენიშნავს, რომ ეს პირველი მისვლაა იტალიის მეფისა რუსეთს. იტალიის ხალხს ესმის პრაქტიკული მნიშვნელობა უფრო დაახლოვებულის ურთიერთობისაო. „ტრიბუნა“ აღნიშნავს რუსეთის ეკონომიურს განვითარებას და აგონებს იხსენიებს ძველად დაახლოვებულს განწყობილებას სავოიის და საიმპერატორო გვართა შორის—მეფის სტუმრება ჰმოწმობს სურვილსა, რომ განწყობილება რუსეთთან ხშირი და მეგობრული გახდესო.

რომი. მეფე დღეს გაემგზავრა. თან ახლავს მინისტრი პონცია-ვაგლია, ჰოფმარშალი გრაფი ჯანოტი და გენერალ-ადიუტანტი ბრუზატტი. მილანში მეფის ამალას მიემატება მინისტრი პრინეტტი. ხალხი მეფეს აღტაცებით მიეგება.

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრომ დაადგინა: ევროპიელ რუსეთის ოლქებსა და გუბერნიებში დროებით შესწყდეს ნებართვის მიცემა ახალ არყის სახდელ ქარხნების გამართვისათვის და სპირტის გამოხდის გადიდებისათვის. ახალის ქარხნის გამართვის ნებართვას, აქამდის მიცემულს, თუ ამ დადგენილების შემდეგ სამის წლის განმავლობაში არ განხორციელდა, ძალა აღარ ექნება.—მე-2 კავალერიის დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ფადეევი დაინიშნა მე-2 კავკასიის არმიის კორპუსის უფროსად. გენერალ-ლეიტენანტი შეპელევი დაინიშნა მე-6 არმიის კორპუსის უფროსად.—ფინანსთა მინისტრმა ნება დართო გამოტანილ იყოს რუსეთის შიდა ბაზარზედ ფხვნილი შაქარი თავისუფალი თანხიდგან 1,500.000 ფუთი და ხელუხლებელ თანხიდგან 1,500.000.

განცხადება

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о

„Кремъ—Ралле
Лучшiи Кольдъ
Кремъ“

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე